

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის ბრძანება

N03-01/03, 02.02.2022 წელი

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების - სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელების
თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-104 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-10 მუხლი, ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების (სხდომა №2, 27.01.2022 წელი) და ობსერვატორიის სამტატო განრიგის (დამტკიცებული სამეცნიერო საბჭოს მიერ, სხდომა N11, 22.12.2021 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობებზე:

ა) გალაქტიკების და ვარსკვლავების განყოფილება, 1 სამტატო ერთეული;

ბ) მზის და მზის სისტემის განყოფილება, 1 სამტატო ერთეული.

2. კონკურსი დაიწყოს 2022 წლის 1 თებერვლიდან და დასრულდეს 10 მარტს, მათ შორის საკონკურსო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2022 წლის 4 მარტიდან 7 მარტის (24:00 სთ.) ჩათვლით.

3. განისაზღვროს:

- ა) შრომითი პირობები ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის, წინამდებარე ბრძანების დანართ №1-ის შესაბამისად;
- ბ) კონკურსში მონაწილეობის პირობები ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად, წინამდებარე ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;
- გ) ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის წესი, წინამდებარე ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;
- დ) საკონკურსო განცხადების ფორმა, წინამდებარე ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;
- ე) საკონკურსო განცხადების ფორმა ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის, წინამდებარე ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;
- ვ) ავტობიოგრაფიის რეკვიზიტები, წინამდებარე ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად;
4. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ (www.abao.ge)
5. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

რ ე ვ ა ზ ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი